პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 ივლისი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 130 (9797) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

1988 ВСЕСОЮЗНЫЕ ЛЕТНИЕ КОЛЛЕДЖСКИЕ СПОРТИВНЫЕ ИГРЫ

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული სპარტაკიადა

საქართველოს სპორტსმენთა მონაგები:

ძიუდო

◎ ოქროს მედალი — **გიორგი კირაკოზაშვილი** (68 კგ; საგარეჯო, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება).

◎ ვერცხლის მედლები — **მამუკა აბრამიშვილი** (53 კგ; ახმეტა, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება); **ზურაბ სამუკაშვილი** (62 კგ; ახმეტა, „დინამო“); **ვახილ ომარაშვილი** (75 კგ; ახმეტა, „დინამო“).

◎ ბრინჯაოს მედალი — **ბადრი დილებაშვილი** (53 კგ; მარტყოფი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება).

ტყვიის სროლა

◎ ვერცხლის მედალი — **მარინა აბაკელია** (მშ-5; თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება).

5 ივლისისათვის ხულ თამაშებში მოპოვებული იყო 13 მედალი, აქედან ოქროსი — 3, ვერცხლისა — 7, ბრინჯაოსი — 3.

თამაშების დღიური

მარინა აბაკელია.

აზრონავტა (გორკი). „470“-ის კლასში საქართველოს ეკიპაჟი ჯერჯერობით II ადგილზეა. „ლუჩში“ ჭაბუკები IV ადგილზე მიდიან. ჩვენს ნაკრებს აზრონავტაში დაგეგმილი აქვს VIII გუნდური ადგილი და ერთი ბრინჯაოს მედალი. შეჯიბრება გრძელდება.

ტყვიის სროლა (ვორონეჟი). აქ ახალრეზობა დამთავრდა. საქართველოს სპორტსმენებმა გუნდური IX ადგილი და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს — მარინა აბაკელია (მშ-5). ნაკრებ გუნდს VII ადგილი და ორი ბრინჯაოს მედალი ჰქონდა დაგეგმილი.

მაგიდის ჩოგბურთი (გორკი). ჩვენი უფროსი ახაკის ბიჭები 8 უძლიერესთა შორის იბრძვიან: საქართველო — ესტონეთი 5:0, საქართველო — რსფსრ 0:5, უმცროსი ახაკის ბიჭები: საქართველო — რსფსრ 1:3, საქართველო — ტაჯიკეთი 3:2 (აქაც ჩვენი გუნდი 8 უძლიერესთა შორის გამოდის). გოგონები: უმცროსი ახაკი (I-VIII ადგილებისთვის მებრძოლი გუნდები) — საქართველო — უზბეკეთი 2:3, საქართველო — უკრაინა 0:3, უფროსი ახაკი (IX-XIII ადგილისთვის მებრძოლი გუნდები) — საქართველო — მოლდავეთი 3:5.

ბალახის ჰოკეი (ვახილკოვო). ბიჭები: საქართველო—უზბეკეთი 0:5; გოგონები (ბორისპოლი) — საქართველო — ყაზახეთი 0:1.

კალათბურთი (სარატოვი). ბიჭები: საქართველო —უზბეკეთი 112:57. გოგონები (ვოლგოგრადი) — საქართველო — ყირგიზეთი 54:65.

თანამედროვე ხუთბიდი (უფა). ხაში ხახეობის შემდეგ (ფარიკაობა, ცხენოსნობა, ცურვა) ჩვენი გუნდი VII ადგილზეა.

ჩოგბურთი (კუიბიშევი). გოგონები: საქართველო — ხომხეთი 4:0, ბიჭები: საქართველო—უზბეკეთი 5:0 (ორივე ჩვენი გუნდი 8 უძლიერესთა შორის იბრძვის).

მშვილდოსნობა (ჩებოქსარი). მ-1 ვარჯიში. გოგონები: ჯერჯერობით ნატო ნახარიძე მეორე ადგილზეა, ხულიკო თოფურია — მესამეზე. გუნდი მერვე ადგილზე მიდის. შეჯიბრება გრძელდება. ბიჭები: ჩვენი სპორტსმენებიდან ხაუკეთესო შედეგი ჯერჯერობით თემურ გორგოშიძეს აქვს (XIII ადგილი), გუნდი IX ადგილზე მიდის.

ხელბურთი (ასტრახანი). აქ გაიმართა პირველი შეხვედრები. გოგონები: საქართველო — ლატვია 24:28, საქართველო — უზბეკეთი — 20:19, ბიჭები: საქართველო — მოლდავეთი 23:23 (იხ. მე-2 გვ.).

ტურიზმი—88

„დიდომი“ სტუმრებს ელის



საშეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლამ ტურისტულ ბაზა „დიდომს“ შესაძლებლობა მისცა გაზარდოს თანამშრომელთა მატერიალური სტიმულირების ფონდის, გააშდიდროს ტურისტთა დასვენების პროგრამა, აამაღლოს მომსახურების დონე.

ბაზის სტუმართა განკარგულებაშია საცურაო აუზი, სპორტული და საცეკვაო მოედნები, კინოთეატრი, ბიბლიოთეკა, სუვენირების მაღაზია, ხმის ჩაწერის სალონი, ბარი, ხადაც სხვადასხვა წვენი იყიდება.

სურათებზე: თბილისის ტურბაზა „დიდომში“.

ვ. **რასოევის** ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პირველი ნარმატება ფინალში

ამსტერდამი. როგორც ვიუწყებოდით, დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიური შესარჩევი შეჯიბრების ჯგუფური ტურნირი. ფინალურ ასპარეზობაში ბრძოლის უფლება მოიპოვა რვა გუნდმა. ისინი სეულის ოლიმპიადის სამ საგზურს გაითამაშებენ. ბრძოლას აგრძელებს ყველა ფავორიტი, მათ შორის საბჭოთა კავშირის, ესპანეთის, იტალიისა და იუგოსლავიის გუნდები.

პირველი ფინალური მატჩი ჩვენს სპორტსმენებს ევროპის შარშანდელ ჩემპიონთან — საბერძნეთის გუნდთან ჰქონდათ. ბრძოლა მეტნაკლებად დაძაბული იყო პირველ ნახევარში, რომელიც საბჭოთა კალათბურთელებმა 4 ქულით მოიგეს (40:36). შესვენების შემდეგ ჩვენი უპირატესობა აშკარა გახდა — 82:77.

გუშინ საბჭოთა ნაკრები გფრ-ის გუნდს შეხვდა, 6 ივლისს იგი იუგოსლავიას შეხვდება, 8 ივლისს — ინგლისს, 9 ივლისს — ესპანეთსა და 10 ივლისს — იტალიას.

შეხვედრა სამინისტროში

სახალხო განათლების სისტემის სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით წელს ივლის-აგვისტოში ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში ჩატარდება მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრებები.

გუშინ საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროში საგანგებო შეკრებაზე სამინისტროს ხელმძღვანელობამ ჯგუფი დაულოცა ჩვენს ნაკრებ გუნდებს. იქვე გაიმართა პრესკონფერენცია.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, ჩვენი აკრობატებისგან ყოველთვის მეტს მოველით. ალბათ იმიტომაც, რომ ჩვენი სპორტსმენები ნებისმიერი რანგის შეჯიბრებიდან უმეტესად არ ბრუნდებიან. სულ მალე ჭაბუკთა თამაშების პროგრამით აკრობატთა შეჯიბრებაც დაიწყება, ახალბედებთან ერთად შედარებით გამოცდილი სპორტსმენებიც გაემგზავრებიან ტოლიატში. საქართველოს აკრობატთა ნაკრების შესაძლებლობებზე „ლელოს“ დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე გვესაუბრება უფროსი მწვრთნელი ანატოლი სლივკოვი.

ხურათზე: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, მწვრთნელი ნინო ბერიანიძე ავარჯიშებს ნაკრების სამეულს: ნანა პატარიძეს, თამილა და მანანა მორბედაძეებს.

საშადრაკო „ოსკარი“ —ჭასპაროვს

ნიუ საუკეთესო მოჭადრაკისათვის დაწესებული პრიზი — საშადრაკო „ოსკარი“ შარშანდელი შედეგების მიხედვით მიენიჭა გარი კასპაროვს. 1982 წლიდან მოყოლებული, მსოფლიო ჩემპიონს მეხუთე „ოსკარი“ მიეკუთვნა.

რეფერენდუმში 44 საშადრაკო მიმომხილველი მონაწილეობდა. კასპაროვმა მიიღო 30 პირველი ადგილი, კარპოვმა — 13, ტომანმა — 1. საბოლოო ჯამში კასპაროვმა 555 ქულა მოაგროვა, კარპოვმა — 503.

„დინამოს“ აუზმა განაახლა მუშაობა

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე. ცურვის მოყვარულებს რამდენიმე ათეული წელი ემსახურებოდა სტადიონის ტრიბუნების ქვეშ მოთავსებული 25-მეტრიანი საცურაო აუზი. ამ აუზმა სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდეგ, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა, ამ დღეებში კვლავ განაახლა მუშაობა. ახლა აქ, მხოლოდ მოზარდებს რიდი შეხვდებით, გამაჯანსაღებელ ჯგუფებში იღებენ სხვადასხვა ასაკის მსურველებს. აუზს აქვს კეთილმოწყობილი ხაშხაპეები, მოსაცდელი, დამხმარე სათავსოები, იქვე პატარა ბავშვებისთვის მუშაობს „ხაჭუმპალაო“.

ალექსანდრე **კოტორაშვილის** ფოტოები.



ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ II ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲫᲘᲣᲓᲝ

ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲘ

ᲯᲔᲠᲫᲘᲜᲒᲘ. ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ პირველ საკავშირო სპორტულ თამაშებში საქართველოს ძიუდოისტებმა, როგორც ცნობილია, გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. მაშინ სამმა ქართველმა მოჭიდავემ ოქროს, თითომ კი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

რესპუბლიკის ძიუდოისტთა გამოსვლებზე წლეულსაც დიდ იმედებს ვამყარებთ და არც თუ უსაფუძვლოდ. ამაში ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ მეორე საკავშირო თამაშების სასტარტო ბრძოლებმა. ჯერჯერობით საქართველოს მოჭიდავეებმა მოიპოვეს ერთი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი. არადა, დარჩენილია წონები, რომლებშიც ჩვენს ძიუდოისტებს წარმატების დიდი შანსები აქვთ.

ბრწყინვალედ ჩაატარა ტურნირი 68 კგ წონით კატეგორიაში საგარეჯოელმა მოჭიდავემ, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენელმა გიორგი კირაკოზაშვილმა. მან ყველა შეხვედრა მოიგო და ოქროს მედალს დაეუფლა.

სამმა ქართველმა ათლეტმა ვერცხლის ჯილდო დაიმსახურა. ესენია: 53 კგ წონაში მამუკა აბრამიშვილი (ახმეტა, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება), 62 კგ წონაში — ზურაბ სამუკაშვილი (ახმეტა, „დინამო“) და 75 კგ წონით კატეგორიაში ვასილ ომარაშვილი (ეს მოჭიდავეც ახმეტელია და „დინამოს“ ღირსებას იცავს).

საპრიზო ადგილზე გავიდა 53 კგ წონით კატეგორიაში ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთი წარმომადგენელი — ბადრი დილებაშვილი (მარტყოფი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება). მან ბრინჯაოს მედალი მიიღო.

ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚᲐ

ᲔᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ

რა დროსაც უნდა მიხვიდეთ აკრობატიკის რესპუბლიკურ სკოლაში, უჩვეულო სისუფთავე და წესრიგი დაგხვდებათ. სწორედ აქ, ამ მყუდრო, არცთუ დიდ შენობაში ემზადებოდა საქართველოს ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ ნაკრები (დარბაზის არასტანდარტულობის გამო მხტომელები „შრომითი რეზერვების“ სპორტის სასახლეში ვარჯიშობენ, ხოლო საქართველოს წლევანდელი ჩემპიონები— ვლადიმერ გურგენიძისა და ნინო ბერიანიძის აღზრდილი სამეულის წევრები — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტულ კომპლექსში მეცადინეობდნენ).

საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს ანატოლი სლივკოვს სპორტულ სკოლაში შევხვდით.

— ჩვენი ნაკრები ამ დღეებში ქალაქ ვორონეჟში მიემგზავრება შეკრებაზე. ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ თამაშებისთვის მზადება გუნდმა გასული წლის ზაფხულში დაიწყო თიანეთის სპორტულ ბანაკში, —გვითხრა მან.—ჩვენი შეკითხვის პასუხად. აქ 42 აკრობატი გადიოდა წვრთნას (35 — თბილისიდან, 5 — ბათუმიდან, თითო — ქუთაისიდან და რუსთავიდან). ოქტომბერში სასწავლო-საწვრთნელი შეკრება ბათუმში მოეწყო. წლეულს თებერვალში ნაკრების ძირითადი ნაწილი ესენტუკში ვარჯიშობდა. მარტის ბოლოს გუნდი (ამჯერად — 50 სპორტსმენი) კვლავ ბათუმში გაემგზავრა. მაისში ბათუმში ემზადებოდნენ მხტომელი გოგონები და ვაჟებიც. ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ საპრიზიკრიბებით. ზაფხულის ყველაზე ცხელ თვეში თბილისში ვარჯიში იმით არის გამოწვეული, რომ ამ დროს იწყება მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში. პირველი აგვისტოდან გვინდა ტოლიატში გავემგზავროთ, სადაც 9-16 აგვისტოს გაიმართება შეჯიბრება აკრობატიკაში ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ II თამაშების პროგრამით.

● როგორც ვიცით, გასულ წლებში წვრთნის პირობების მოგვარება თქვენთვის უმთავრესი პრობლემა იყო.

— ამ მხრივ საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა. რომენტის შემდეგ კვლავ მწყობრში ჩადგა ჩვენი სკოლის სპორტული დარბაზი. გარდა ამისა, ნაკრების ნაწილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კეთილმოწყობილ სპორტულ კომპლექსში ვარჯიშობს.

● ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ პირველ თამაშებში საქართველოს გუნდმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ჩვენმა სპორტსმენებმა ინდივიდუალურ შეჯიბრებებში ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რაც, ცხადია, დიდი მიღწევა იყო. რას უნდა ველოდეთ წლევანდელი შეჯიბრებისაგან?

— ვფიქრობთ, იმავე შედეგს, მეული და ოთხეული საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად კრასნოდარში იყო სავარჯიშოდ.

ვმეცადინეობდით თბილისში, ვორონეჟში, ეშერაში, საბოლოოდ კი კვლავ თბილისში შემეტ-ნაკლები „კორექტივებით“, წლეულსაც გავიმეორებთ.

● უფრო კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყვით ვისი იმედი უნდა გვქონდეს ტოლიატში?

ოთხეული მოწოდების სიმაღლეზეა.

— დავიწყებ იმით, რომელ სახეობაში უფრო სუსტად ვგრძნობთ თავს. მაგალითად, მხტომელ გოგონებს წარმატებად ჩავუთვლით, თუ ორი ქულა მაინც მოაგროვეს. ახლა იმათზე, ვისი იმედიც გვაქვს. ვაჟთა ჯგუფურ ვარჯიშში ორი თანაბარი სიძლიერის ოთხეული გვყავს (საბაშვილი, მღებრიშვილი, ბუზიაშვილი, დოლენჯაშვილი და ვართანოვი, ანაკოევი, თუთბერიძე, პეტროვი). ვფიქრობთ, ისინი სამეულში მოსახვედრად იბრძოლებენ. ასევე საპრიზო ადგილს ვუგემავთ ვლადიმერ გურგენიძეს, ნინო ბერიანიძის აღსაზრდელებს — დებს თამილა და მანანა მორბედაძეებს და ნანა პატარიძეს, აგრეთვე მწვრთნელ გია მახარაშვილის მიერ მომზადებულ შერეულ წყვილს — ირინა ოვოიანსა და რომანოზ კუხალეიშვილს. ვფიქრობთ, მესამე-მეოთხე ადგილებზე უნდა გავიდეს გოგონათა წყვილი — თამრიკო ბეროზაშვილი-თინა ვარდაძე. შეიძლება სიურპრიზი შემოგვთავაზონ მხტომელმა ვაჟებმა.

● თქვენ არავინ დაგისახელებიათ ისეთი, ვისაც ოქროს მედლის მოპოვება შეუძლია. იმედი გვაქვს, ისინი საპრიზო ადგილებზე გასვლის კანდიდატებში იგულისხმეთ?

— ამის შესახებ წინასწარ რაიმეს თქმა პროგნოზის მოყვარულთა საქმეა.

● შეიცვალა თუ არა საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი თქვენი უშუალო მეტოქეების ვინაობა?

— ჯერჯერობით არა. პირველი-მეორე ადგილების დასაკავებლად კვლავ რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის გუნდები იბრძოლებენ. მესამე ადგილისთვის კი, როგორც იტყვიან, ხელჩართული ბრძოლა მოგვიხდება ლენინგრადისა და ბელორუსიის აკრობატებთან.

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲔ.



ვარჯიშობს საქართველოს აკრობატთა ნაკრები.

ᲡᲙᲙᲐ XIX ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲘᲗᲥᲕᲐ:

„ამხანაგებო! ფიზიკური კულტურის შესახებ ევგენი ივანეს ძე ჩაზოვი აქ უდიდესი გულისტკივილით გამოვიდა. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით, სკოლაში ბავშვების 53 პროცენტს ჯანმრთელობის საქმე რიგზე არა აქვს. სწავლის მანძილზე ჯანმრთელი ბავშვების რაოდენობა 3-4-ჯერ მცირდება. ეს უბედურებაა. ჩვენ უფლება არა გვაქვს ამას უურადღება არ მივაქციოთ, არ შევნიშნოთ! ამიტომ აქ რიგიანი ადამიანი კეთდეს. ერთი შემადგენელი ნაწილი ამისა ფიზიკური კულტურაა... მე ვთვლი, რომ ჩვენ სკოლაში უნდა უზრუნველვყოთ ყოველდღიური ფიზკულტურული მეცადინეობა, რომელსაც არ სჭირდება სტადიონები და აუზები. შეხედეთ ნებისმიერ ნამდვილად კულტურულ ადამიანს: იგი დღეში ერთ საათს აუცილებლად უთმობს ფიზკულტურას!“

სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის გ. იაგოდინის გამოსვლიდან.

ᲛᲝᲜᲐᲠᲓᲘ ᲠᲝᲛ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ

მართალია, მიხეილ ბინიაშვილი პროფესიით ექიმია, მაგრამ ფიზკულტურა და სპორტი მისი ცხოვრების შემადგენელ ნაწილად ქცეულა. ალბათ ამანაც განაპირობა, რომ ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპეციალური სამედიცინო ჯგუფების მუშაობის საკითხი მან პირადად შეისწავლა. ჩვენმა კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა მას:

● პატივცემულო მიხეილ, სპეციალური სამედიცინო ჯგუფების არსებობაზე ბევრს ალბათ არ სმენია. გთხოვთ გაგვიმარტოთ, რას ნიშნავს სამედიცინო ჯგუფი და ტერმინი „სასკოლო დაავადება“.

—ერთხელ ერთმა ნაცნობმა შემოგვიარა ჩემს 12 წლის ვაჟს ამ ბოლო დროს ზურგის არეში ტკივილები დასჩემდაო. ვურჩიე ბავშვისთვის რენტგენოგრამა გადაეღოთ და ორთოპედისათვის ეჩვენებინათ. აღმოჩნდა, რომ ბავშვს ხერხემლის სვეტის მკვეთრი გამრუდება ჰქონია.

ჩემი მოსწავლეობის პერიოდში კარგად მახსოვს, როგორი დაჟინებით გვითვალთვალებდნენ მასწავლებლები, გაკვეთილებზე მერხზე რომ გამართულად ვჯდარიყავით და ხელები მერხის საზურგედან უმიზეზოდ არ მოგვეცილებინა. ეს მეთოდი გამართლებული იყო, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროფილაქტიკური ღონისძიება ხერხემლის გამრუდების ასაცილებლად. სამწუხაროდ, დღეს ასე აღარ ხდება.

აი საიდან ჩნდება „სასკოლო დაავადება“ და სამედიცინო ჯგუფები სკოლებში სწორედ მათი განკურნების მიზნით ყალიბდება. აქვე დავძენ, რომ სასკოლო დაავადებათა რიცხვში შედის აგრეთვე მხედველობის, მეტყველების, ნერვული სისტემის მოშლა.

● ალბათ, სპეციალურ სამედიცინო ჯგუფებში მეცადინეობენ არა მხოლოდ „სასკოლო დაავადებების“ მქონე ბავშვები, არამედ ისინიც, ვისაც „არასასკოლო დაავადებები“ აწუხებთ: გულის მანკი, რევმატიზმი, ბრონქიალური ასთმა და სხვა.

— რა თქმა უნდა. ყოველი წლის შემოდგომაზე მეორე, მეოთხე, მეექვსე და მერვე კლასების მოსწავლეები გადიან გულდასმით სამედიცინო შემოწმებას, მათ კი, ვისაც ჯანმრთელობის მხრივ რაიმე მნიშვნელოვანი გადახრა აღმოაჩნდებათ, აღნიშნულ ჯგუფებში ჩაირიცხებიან. აქ ბავშვები კვირაში ორჯერ ფიზკულტურის მასწავლებლის მეთვალყურეობით, ინდივიდუალური გეგმით ვარჯიშობენ.

● რა მდგომარეობაა ამ მხრივ ბათუმის სკოლებში?

— ჩვენ დაახლოებით ქალაქის 20-მდე სკოლაში ვიყავით. პირადად დავესწარი სპეციალური ჯანმრთელობის ჯგუფების მეცადინეობას და, სამწუხაროდ, ბევრი ნაკლიც შევნიშნე. № 6 საშუალო სკოლის გარდა **პრაქტიკულად არც ერთ სკოლას არა აქვს ცალკე ოთახი (კაბინეტი), რომელშიც წესით სპეციალური ჯგუფების მეცადინეობა უნდა ტარდებოდეს.** ბავშვები ჩვეულებრივ სპორტულ დარბაზებში ვარჯიშობენ, რომლებიც ისე არიან გადატვირთული, რომ იქ ჰაერის განიავებასაც კი ვერ ასწრებენ. **მტვრით სავსე, დახშულ დარბაზში კი ავადმყოფ ბავშვებს სუნთქვით ვარჯიშებს ასრულებინებენ (!)** სასკოლო რეფორმაში ხომ ავადმყოფ მოსწავლეებზე განუხრელი ზრუნვაცაა გათვალისწინებული?!

სკოლები ღარიბია სამედიცინო ჯგუფებისთვის საჭირო ინვენტარმოწყობილობით. აქ სავარჯიშოდ მხოლოდ ჩვეულებრივი ბურთები, ლეიბები და შვედური კედელია. ერთ-ერთ სკოლაში ვიკითხე: რატომ არ შეიძენთ სამედიცინო ჯგუფისათვის საჭირო ინვენტარ-მოწყობილობას-მეთქი. შეგვიძლია შევიძინოთ, მაგრამ შესანახი ადგილი არა გვაქვს, შარშან ველოარგომეტრი შევიძინეთ და ერთი კვირის შემდეგ მისგან ჩონჩხიღა დარჩაო — მიპასუხეს.

● ამ მხრივ როგორც სანიმუშო, თქვენ № 6 საშუალო სკოლა დაასახელეთ.

— დიახ, ამ სკოლაში (დირექტორი ნ. ჩაუშა, ფიზიღზრდის მასწავლებელი ჟ. სირაძე) ყველაფერი გაკეთდა სამედიცინო ჯგუფების ეფექტური მეცადინეობისათვის. უფრო სწორედ, აქ მოეწყო სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტი. ავტონომიურ რესპუბლიკაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ერთ-ერთი, თუ გნებავთ, ერთადერთი სპეციფიკური კერაა, რომელშიც სნეული მოსწავლეების ჯანმრთელობის გაკაჟებისათვის ზრუნავენ. აქ თითქმის ყველაფერია, რაც საჭიროა სამედიცინო ჯგუფის მეცადინეობისათვის. ვფიქრობ, მე-6 სკოლის მაგალითს, ამ სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლის ენთუზიაზმს უნდა მიბაძონ სხვა სკოლებმაც და რაც შეიძლება უმოკლეს ხანში.

რაც შეეხება მოსწავლეთა დასწრებას სამედიცინო ჯგუფების მეცადინეობაზე.

ეს საქმეც ვერ არის კარგად მოგვარებული. №7, № 8, № 10 სკოლებში შემოწმების დღეს აკლდათ ბავშვები. გამოველაპარაკეთ ზოგიერთს. აი, მათი შეჯამებული აზრი: **მეცადინეობაზე უფრო ვაილის მოსახდელად (ვის წინაშე?) დავდივართ,** ვარჯიშები პრაქტიკულად არაფერს გვმატებს, ყოველთვის ერთი და იგივე ილეთის შესრულება მოსაწყენიც არის და უსარგებლოც. ამასთან ჩვენი ჯგუფის მეცადინეობის დროს დარბაზში ხშირად სხვა მოსწავლეებიც შემოდიან, ირონიულად გვიღიმიან, თითქოს დაგვცინიანო. ეს ჩვენ გვეთაკილება, ამიტომ ბევრი მოსწავლე ხშირად აცდენს მეცადინეობას, მითუმეტეს, რომ **გაცდენებზე პასუხს არავინ გვთხოვსო.**

№ 2 სკოლაში ხშირად ცდება მეცადინეობა, გასულ წელს კი საერთოდ არ მუშაობდა სამედიცინო ჯგუფი. ეს მაშინ, როცა **ქრონიკულ ავადმყოფთა სიაში 37 ბავშვი ირიცხება.** ერთ-ერთი მიზეზი ამისა ისიც გახლავთ, რომ საერთოდ ბათუმის საშუალო სკოლებში სპეციალურად მომზადებული ფიზკულტურის მასწავლებლები არ ჰყავთ. ნათქვამია, გული გულობდეს, თორემ ქადა ორივე ხელით იჭმევაო. მონდომებული ფიზკულტურის მასწავლებელი რესპუბლიკური ფიზკულტურის დისპანსერის მუშაკთა კონსულტაციით ისარგებლებდა...

დღეს ჩვენი საზოგადოებრივი აზრის ყველა სფეროში დადგა გარდაქმნის აუცილებლობის დრო. ეს ამ საკითხსაც ეხება და განათლების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის თითოეულ მუშაკს ავალია გულისხმიერად მოეკიდოს მოზარდის ჯანმრთელობას!

ესაუბრა
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲥᲐᲕᲫᲐᲠᲐᲫᲔ.

130 (9797) 6/VI

I ᲚᲘᲒᲐ

4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ I ᲚᲘᲒᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ XIX ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

„ᲒᲣᲠᲘᲐ“ (ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ) — ᲐᲡᲙ (ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ) 2:0 (0:0).

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ. „ᲒᲣᲠᲘᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ. 4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ.

„ᲒᲣᲠᲘᲐ“: ᲥᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ, ᲑᲝᲜᲓᲐᲠᲣᲙᲘ (ᲙᲐᲑᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ), ᲐᲜᲓᲠᲔᲣᲚᲐᲫᲔ, ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ, ᲞᲠᲘᲰᲝᲜᲓᲙᲝ, ᲪᲝᲛᲘᲐ, ᲣᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ (ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ), ᲮᲚᲣᲡᲘ, ᲘᲐᲒᲝᲕᲡᲙᲘ, ᲤᲠᲘᲓᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲡᲙ: ᲖᲐᲘᲙᲘᲜᲘ, ᲞᲝᲡᲘᲚᲐᲔᲕᲘ (ᲢᲐᲢᲐᲠᲣᲜᲘᲜᲘ), ᲛᲘᲜᲓᲑᲐᲔᲕᲘ, ᲙᲐᲘᲣᲛᲝᲕᲘ, ᲓᲘᲙᲐᲠᲔᲕᲘ, ᲑᲝᲒᲐᲩᲝᲕᲘ (ᲑᲝᲜᲓᲐᲠᲔᲕᲘ), ᲙᲜᲘᲐᲔᲕᲘ (ᲡᲘᲒᲣᲜᲝᲕᲘ), ᲚᲔᲓᲔᲘᲐᲮᲝᲕᲘ, ᲡᲢᲔᲞᲐᲜᲨᲙᲘᲜᲘ, ᲕᲝᲠᲝᲑᲘᲝᲕᲘ, ᲞᲝᲞᲐᲓᲝᲞᲣᲚᲝ.

ᲛᲡᲯᲐᲚᲘ Ა. ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲔᲜᲙᲝ (ᲙᲘᲔᲕᲘ).

I ᲚᲘᲒᲘᲡ ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲔᲚᲛᲐ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐᲛ ᲔᲠᲗᲝᲒᲐᲠᲘ ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ. ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ ᲒᲐᲜᲪᲓᲘᲚ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲔᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲡᲐᲛᲘᲗᲝ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲢᲡᲐᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲠᲘᲒᲑᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲑᲛᲐ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲠ ᲒᲐᲐᲫᲚᲘᲔᲠᲘᲗ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ, ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲛᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲐᲚᲐᲫᲘᲡ, ᲘᲡᲔ ᲙᲚᲔᲝᲛᲔᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲙᲐᲠᲗᲐᲜ, ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲛᲐᲡᲐᲜᲘᲫᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡᲐᲪ.

ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲑᲣᲠᲗᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ „ᲠᲝᲢᲝᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲑᲚᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, 75-Ე ᲬᲣᲗᲨᲘ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲐ ᲡᲢᲝᲒᲝᲕᲛᲐ. ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲓᲐᲜᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲐᲛᲝ ᲕᲝᲚᲒᲝᲒᲠᲐᲓᲔᲚᲗᲐᲑᲐ ᲐᲛᲝᲛᲬᲧᲓᲐ, ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓᲘ ᲓᲐᲜᲨᲘᲡᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲐᲛᲝ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ.

ᲥᲐᲕᲫᲐᲠ ᲚᲔᲕᲐᲜᲘᲫᲔ.
(ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ, „ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲙᲝᲠ.).

• • •

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ: „ᲨᲘᲜᲘᲙᲘ“ (ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲘ) — ᲪᲡᲙᲐ 2:0, „ᲢᲐᲕᲠᲘᲐ“ (ᲡᲘᲛᲤᲔᲠᲝ�პᲝᲚᲘ) — „ᲙᲣᲖᲑᲐᲡᲘ“ (ᲙᲘᲔᲕᲘ) 2:0, „ᲖᲐᲠᲘᲐ“ (ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲒᲠᲐᲓᲘ) — „ᲖᲕᲔᲖᲓᲐ“ (ᲞᲔᲠᲛᲘ) 4:1, „ᲠᲝᲡᲢᲔᲚᲛᲐᲨᲘ“ (ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ) — „ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘ“ (ᲢᲘᲣᲛᲔᲜᲘ) 2:1, „ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ“ (ᲖᲐ�პᲝᲠᲝᲟᲘᲔ) — „ᲓᲐᲣᲒᲐᲕᲐ“ (ᲠᲘᲒᲐ) 3:1, „ᲙᲝᲚᲝᲡᲘ“ (ᲜᲘᲙᲝᲠᲝ) — ᲐᲡᲙ „ᲙᲐᲠᲞᲐᲢᲘ“ (ᲚᲕᲝᲕᲘ) 1:1, „ᲤᲐᲮᲗᲐᲥᲝᲠᲘ“ (ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ) — „ᲙᲝᲢᲝᲐᲮᲘ“ (ᲐᲑᲝᲕᲘᲐᲜᲘ) 5:0, „ᲠᲐᲛᲘᲠᲘ“ (ᲓᲣᲨᲐᲜᲑᲔ) — „ᲧᲣᲑᲐᲜᲘ“ (ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘ) 3:2.

• • •

XX ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ 7 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ. „ᲒᲣᲠᲘᲐ“ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ „ᲠᲝᲢᲝᲠᲡ“, ᲮᲝᲚᲝ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲖᲔ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ �გᲣᲜᲓᲡ.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ 6 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

	თ.	მ.	ფ.წ.	წ.	ბ.	ქ.
„პამირი“	18	12	5	1	36-16	29
„დინამო“ სტ.	18	10	6	2	29-13	26
ცსკა	18	9	5	4	25-15	23
„როტორი“	18	10	2	6	29-18	22
„გეოლოგი“	18	9	2	7	21-25	20
ასკ „კარპ.“	18	8	4	6	29-16	20
„როსტსელ.“	18	8	4	6	28-25	20
ასკ რ.	18	8	4	6	25-24	20
„ტავრია“	18	6	8	4	19-13	20
„კოტაიკი“	19	8	3	8	25-33	19
„ფახთაქორი“	18	6	7	5	25-19	19
„გურია“	18	8	2	8	23-24	18
„შინიკი“	18	7	4	7	18-20	18
„დაუგავა“	18	5	6	7	22-22	16
„სპარტაკი“	18	6	3	9	28-32	15
„ყუბანი“	19	6	3	10	20-29	15
„კოლოსი“	18	5	5	8	13-18	15
„კუზბასი“	18	5	5	8	11-21	15
„ზარია“	18	5	4	9	24-28	14
„დინამო“ ბ.	18	5	2	11	15-24	12
„მეტალურგი“	18	3	6	9	11-23	12
„ზვეზდა“	18	2	6	10	15-33	10

ᲛᲡᲯᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓ
ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲠᲐᲓᲘᲐᲜᲛᲐ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ

ᲪᲜᲝᲑᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ 1994 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ, ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲖᲗᲔᲑᲨᲘ. ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲛᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲔᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲪᲘᲣᲠᲘᲮᲨᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲙᲔᲜᲭᲘᲡᲧᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ. ᲐᲛ წᲚᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲝᲠᲗᲐᲛᲔᲠᲘᲡ ᲐᲨᲨ-ᲡᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲐ ᲘᲧᲝ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ — ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲐᲙᲝᲡᲘ.

ᲤᲘᲤᲐ-Ს ᲐᲠᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲐᲗᲛᲐ ᲬᲚᲔᲕᲠᲛᲐ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲡ, ᲨᲕᲘᲓᲛᲐ — ᲛᲐᲠᲝᲙᲝᲡ — ᲠᲝᲛᲐ — ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲘᲚᲐ�პᲐᲠᲐᲯᲐ ᲤᲘᲤᲐ-Ს ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲰᲐᲠᲘ ᲙᲔᲕᲐᲜᲗᲐ. ᲠᲐᲰᲐᲜ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲠᲗᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲪ ᲘᲧᲝ, ᲤᲘᲤᲐ-Ს ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲛᲐ ᲟᲝᲐᲝ ᲐᲕᲔ-ᲚᲐᲜᲓᲛᲐ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲐ ᲙᲘᲜᲭᲘᲡᲧᲠᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ. **ᲛᲐᲡ 4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ᲑᲔᲚᲓᲘᲡᲯᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲓᲐ** ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲗᲐ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ.

ᲤᲘᲤᲐ-Ს ᲯᲔᲠᲯᲔᲠ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲗ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲐᲡᲐᲙᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲝᲓᲔᲗ 23 ᲬᲚᲘᲡ. ᲔᲡ ᲬᲔᲡᲘ ᲫᲐᲚᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲐ 1988 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ.

ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲔᲥᲝ

ᲰᲐᲜᲡ ᲕᲐᲜ ᲑᲠᲘᲝᲙᲔᲚᲔᲜᲘ:

„ᲐᲮᲚᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ!“

ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲣᲐᲠᲔᲛ, 31 ᲬᲚᲘᲡ ᲰᲐᲜᲡ ᲕᲐᲜ ᲑᲠᲘᲝᲙᲔᲚᲔᲜᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲔ-40 ᲛᲐᲢᲩᲘ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲒᲣᲜᲓᲨᲘ. ᲛᲐᲜ ᲬᲚᲔᲣᲚᲣᲚ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲗᲐᲜ „ᲔᲘᲜᲓᲰᲝᲕᲔᲜᲗᲐᲜ“ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ. ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲕᲐᲥᲕᲔᲣᲜᲔᲑᲗ, ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ „ᲘᲣᲜᲒᲖ ᲕᲔᲚᲢᲨᲘ“ (ᲒᲓᲠ).

⊙ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ, ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ... ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲐᲖᲔ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲝᲪᲜᲔᲑᲝᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲛᲐ?

— ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ, ᲠᲐᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ, ᲔᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲠᲔᲑᲐᲐ. ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲠᲘᲐ ᲕᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲓᲘ, ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ, ᲢᲧᲣᲘᲚᲘᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲝᲪᲜᲔᲑᲘᲐ. 19 ᲘᲕᲚᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲕᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲣᲓᲒᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲡ.

⊙ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲡ?

— ᲯᲔᲠ ᲐᲠᲐ. ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲐ ᲒᲐᲡᲐᲕᲚᲔᲚᲘ, ᲘᲥ ᲙᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲤᲠ-ᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲝᲒᲕᲘᲬᲔᲕᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲠᲐ. ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲔᲒᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲪᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲒᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲠᲗᲐᲜ ᲛᲝᲒᲕᲘᲬᲔᲕᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲠᲐ. ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲔᲒᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲠᲗᲐᲜ ᲛᲝᲒᲕᲘᲬᲔᲕᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲠᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲐᲚᲐᲫᲘᲡ, ᲘᲡᲔ ᲙᲚᲔᲝᲛᲔᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲙᲐᲠᲗᲐᲜ, ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲛᲐᲡᲐᲜᲘᲫᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡᲐᲪ.

ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲑᲣᲠᲗᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ „ᲠᲝᲢᲝᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲑᲚᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, 75-Ე ᲬᲣᲗᲨᲘ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲐ ᲡᲢᲝᲒᲝᲕᲛᲐ. ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲓᲐᲜᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲐᲛᲝ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ.

ᲛᲡᲯᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓ
ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲠᲐᲓᲘᲐᲜᲛᲐ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ 6 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ (ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲜᲘ)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. „დინამო“ (კიევი)	12	8	3	1	18-4	19
2. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	13	6	6	1	15-7	18
3. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	12	7	2	3	23-17	16
4. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	11	6	4	1	15-8	16
5. „უალგირისი“ (ვილნიუსი)	12	6	4	2	18-13	16
6. „ტორპედო“ (მოსკოვი)	13	5	4	4	13-13	14
7. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	12	5	3	4	14-11	13
8. „მეტალისტი“ (ხარკოვი)	13	4	5	4	12-15	13
9. „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	13	6	0	7	11-15	12
10. „დინამო“ (მოსკოვი)	13	5	2	6	15-17	12
11. „არარატი“ (ერევანი)	13	4	4	5	8-10	12
12. „დინამო“ (მინსკი)	13	3	5	5	10-11	11
13. „დინამო“ (თბილისი)	12	4	0	8	16-21	8
14. „შახტიორი“ (დონეცკი)	12	2	4	6	8-13	8
15. „ნეფთჩი“ (ბაქო)	13	3	1	9	9-18	7
16. „კირატი“ (ალმა-ათა)	13	2	1	10	8-20	5

ᲚᲘᲓᲓᲠᲝᲒᲡ „ᲜᲝᲠᲩᲘ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲘ“

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ I ᲚᲘᲒᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ �გᲣᲜᲓᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲣᲗᲬᲧᲔᲗ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲐᲛ ᲐᲡᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐᲨᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲜᲝᲠᲩᲘᲡ“ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲘᲡ“ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲘᲪᲐᲕᲔᲑᲓᲐ.

ᲖᲐᲰᲝᲠᲝᲟᲘᲔᲨᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲐᲡᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲜᲝᲠᲩᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲘᲡ“. 3 ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ 5 ᲥᲣᲚᲘᲡᲗ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲓᲜᲔ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲓᲐ. 4-4 ᲥᲣᲚᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲝᲓᲔᲡᲔᲚ ᲓᲐ ᲑᲐᲥᲝᲔᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲡ, 3 — ᲖᲐᲰᲝᲠᲝᲟᲘᲔᲡᲐ ᲓᲐ 2 — ᲙᲘᲨᲘᲜᲝᲕᲘᲡ �გᲣᲜᲓᲡ.

ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲝᲓᲔᲡᲔᲚ ᲗᲐᲜᲐᲢᲝᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲘᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Ა. ᲗᲣᲠᲥᲘᲐ) ᲜᲝᲠᲩᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ. ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ თ. ᲗᲕᲐᲚᲩᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ Ზ. ᲒᲐᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲐ

უიმბლდონის ახალი ჩემპიონები

ლონდონი. შტეფი გრაფი და მარტინა ნავრატილოვა წლევანდელი სეზონის არც ერთ ტურნირში არ შეხვედრიან ერთმანეთს. ამიტომ მათი ორთაბრძოლა უიმბლდონის ფინალში ჩოგბურთის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევდა, მით უფრო, რომ პირადი შეხვედრების ანგარიში აშკარად ნავრატილოვას სასარგებლოდ იყო — 7:3.

მაგრამ ბოლო სამი წლის მანძილზე გრაფი გაიზარდა და ის აღარ არის, რაც ვთქვათ უიმბლდონის შარშანდელი ტურნირის ფინალში, რომელიც ნავრატილოვამ მოიგო. ამჯერად დასავლეთგერმანელმა ჩოგბურთელმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა (5:7, 6:2, 6:1) და აისრულა დიდი ხნის ნატვრა — პირველად გახდა უიმბლდონის ჩემპიონი.

ვაჟთა ტურნირში სპეციალისტების აღიარებით წარმატების დიდი შანსი ჰქონდა ბორის ბეკერს (გფრ), მით უფრო მას შემდეგ, რაც ფინალამდე გზიდან ჩამოიცილა უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონი პატ კეში (ავსტრალია) და მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია). მისი მეტოქე ფინალში მეტად ძლიერი ჩოგბურთელი სტეფან ედბერგი (შვეცია) გახლდათ, მაგრამ მომხმელველები უპირატესობას მაინც ბეკერს ანიჭებდნენ.

შეხვედრა უამინდობის გამო ჯერ კიდევ კვირას რამდენჯერმე გადაიდო. იგი დამთავრდა ორშაბათს, მაგრამ ბრძოლა ამჯერადაც ერთი-ორჯერ შეწყდა. ფინალში უფრო ძლიერი ედბერგი აღმოჩნდა, რომელმაც ასევე პირველად მოიპოვა უიმბლდონის ჩემპიონის სახელი — 6:4, 6:7, 6:4, 6:2.

ქალთა წყვილების ფინალში საბჭოთა დუეტის — ნატალია ზვერევასა და ლარისა სავჩენკოს მეტოქე — გრაფ-გაბრიელა საბატინის (არგენტინა) ინტერნაციონალური წყვილი გახლდათ. ჩვენმა ჩოგბურთელებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ — 3:6, 6:1, 10:12. ამ წაგების მიუხედავად სპეციალისტებმა საბჭოთა ჩოგბურთელების თამაშს უმაღლესი შეფასება მისცეს.

ვაჟთა წყვილებში გამარჯვება ამერიკელებმა კენ ფლაკმა და რობერტ სეგუსომ მოიპოვეს. ფინალში მათ ჯონ ფიცჯერალდისა (ავსტრალია) და ანდერს იარიდის (შვეცია) დუეტი დაამარცხეს 6:4, 2:6, 6:4, 6:7, 6:2.

„დინამოს“ ჩემპიონები

როგორც ვიუწყებოდით 1971-1972 წლებში დაბადებულ „დინამოს“ კალათბურთელთა ცენტრალური საბჭოს პირველობა, რომელიც ამ დღეებში დნეპროპეტროვსკში ჩატარდა, თბილისელმა სპორტსმენებმა მოიგეს (მწვრთნელი ჯ. ხუხაშვილი). შეჯიბრების პროცესში მათ დაამარცხეს დნეპროპეტროვსკის გუნდი — 67:66 (დამატებით დროში), ჩელიაბინსკის (74:73), მოსკოვის (73:72), უკრაინის მეორე გუნდის (64:46) წარმომადგენლები.

თბილისის დინამოელთა ღირსებას ამ ტურნირში იცავდნენ: დ. ციხისარიშვილი, ზ. ჭაბუკიანი, ზ. იასაშვილი, დ. ამაშუკელი, ნ. გრძელიშვილი, ზ. კუტიბაშვილი, ბ. ქობულაძე, ა. აბზიანიძე, გ. კოპალეიშვილი და კ. ხაიაური. გუნდის მომზადებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს მწვრთნელებმა ოთარ ხმელიძემ (რუსთავი), მიხეილ ასიტაშვილმა და ზაზა ღონღლაძემ. შეჯიბრებაზე საუკეთესო მსაჯისთვის დაწესებული პრიზი თბილისელმა გია მოლოდინაშვილმა მიიღო.

სურათზე: გამარჯვებული გუნდი და მწვრთნელები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

საფეხბურთო ტრაგედიები

გულშემატკივრებმა იციან, რომ 1985 წლის 29 მაისი ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შავი დღეა. ბრიუსელში, „ეიზელის“ სტადიონზე ინგლისის „ლივერპულისა“ და იტალიის „იუვენტუსის“ გულშემატკივართა შორის ატეხილი ჩხუბის შედეგად დაიღუპა 39 კაცი. ამ შემთხვევის მსოფლიო ფეხბურთის პრაქტიკაში უპრეცედენტოს, საშუხაროდ, ვერ ვუწოდებთ...

1980 წელს „ასოშიეიტედ პრესის“ საგენტომ გამოაქვეყნა ლაკონიური ცნობა იმის შესახებ, რომ ჰონდურასისა და სალვადორის გუნდები 1982 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს 19 ოქტომბერს ტეგუსიგალპაში ჩაატარებდნენ. შეხვედრა ჰონდურასის გამარჯვებით 2:0 აღინიშნა. ამით დასრულდა 17-წლიანი განხეთქილება, რომელიც ფეხბურთის ისტორიაში შეკიდა, როგორც საფეხბურთო ომი.

ყველაფერი კი, ასე დაიწყო: 1962 წლის 8 ივნისს, ჰონდურასმა დაამარცხა სალვადორი 1:0. იმავე დღეს ქვეყნიდან გააძევეს რამდენიმე სალვადორელი ოჯახი, რომლებიც უნებართვოდ ცხოვრობდნენ ჰონდურასში. სალვადორმა ამ აქტის მიმართ პროტესტი განაცხადა და როცა 15 ივნისს ჰონდურასელები სან-სალვადორში საპასუხო მატჩის ჩასატარებლად ჩავიდნენ, ისინი შოვინისტურად განწყობილ გულშემატკივართა წრეში აღმოჩნდნენ, რომლებიც მატჩის დროს და მის შემდეგაც თავს ესხმოდნენ ჰონდურასელ გულშემატკივრებს.

ეს მატჩი სალვადორმა მოიგო 3:0, ამის შემდეგ ჰონდურასის მთავრობამ გაასახლა კიდევ 15 ათასი სალვადორელი ოჯახი. მესამე მატჩი ნეიტრალურ მინდორზე ისევ სალვადორმა მოიგო. როცა ჰონდურასში გაიგეს, რომ სალვადორელი გულშემატკივრები დასცინოდნენ მათ ჰიმნს, ქვეყანაში დაიწყო ანტისალვადორული ტერორი. დაიბეცა ასობით სალვადორელი, 100 ათასი კი საზღვარს მიაწყდა. ჰონდურასმა დაადანაშაულა სალვადორი მიწების დატაცებაში და დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა მასთან. 14 ივნისს კი ომი დაიწყო. სალვადორის ჯარმა გადალახა საზღვარი და 60 კმ-ზე შეიჭრა ჰონდურასში. საპასუხოდ ჰონდურასელებმა დაბომბეს სან-სალვადორი და ამაიუტლა. 18 ივლისს საომარი მოქმედება შეწყდა.

შედეგი: 3000 დაღუპული და 6000 დაჭრილი.

1955 წლის 6 სექტემბერი. ნეაპოლი. „სანპაულოს“ სტადიონი.

„ნაპოლისა“ და „ბოლონიას“ მატჩში მსაჯმა დანიშნა 11-მეტრიანი ნეაპოლელთა კარში. მაყურებლები გადაცვივდნენ მოედანზე და ცემა დაუწყეს მსაჯს. პოლიციამ ჰაერში სროლით სცადა წესრიგის დამყარება, მაგრამ ამან კიდევ უფრო გააგულისა მაყურებლები, ატყდა საშინელი აურზაური.

შედეგი: 152 დაჭრილი, მათ შორის 52 პოლიციელი.

1958 წლის 30 ივნისი.

შვეიცარიაში ბრაზილიელთა გამარჯვების შემდეგ მოწყობილ ზეიმზე დაიღუპა 5 ბრაზილიელი გულშემატკივარი.

1964 წელი, 30 მაისი. მსოფლიო ფეხბურთის ყველაზე დიდი ტრაგედია.

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების შესარჩევ მატჩში ლიმაში ერთმანეთს შეხვდნენ პერუსა და არგენტინის გუნდები. არგენტინელები იგებდნენ 1:0, როცა ურუგვაელმა მსაჯმა პაზოსმა არ ჩათვალა მასპინძელთა მიერ მათ კარში თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი გოლი, ორი პერუელი გულშემატკივარი გაიჭრა მინდორზე და ცემა დაუწყო მსაჯს. პაზოსმა შეწყვიტა თამაში. ტრიბუნები ბობოქრობდნენ. წესრიგის დამყარების მიზნით პოლიციამ ორი ცრემლსადენი გაზით გატენილი ყუმბარა ისროლა მაყურებლებში. ატყდა პანიკა. გაგიჟებული ბრბო გადავიდა მინდორზე. დაიწვა სამი ავტობუსი და უამრავი მანქანა. 318 კაცი დაიღუპა, 500 დაიჭრა. მეორე დღეს ქუჩაში გამოვიდა დემონსტრაცია, რომელიც მოითხოვდა უშიშროების მინისტრის მოხსნას. ამ დემონსტრაციას 285 კაცი შეეწირა.

1968 წელი, 22 ივნისი. „ესტადიო მონუმენტალი“, „როვერ პლეტის“ სტადიონი.

მასპინძლები ხვდებოდნენ „ბოკა ხუნიორსს“. სტადიონიდან გასვლის დროს, ვიღაცამ ანთებული ჩირაღდანი ისროლა ხალხში. გაჩნდა ხანძარი. ხალხი მიაწყდა გასასვლელს.

შედეგი: 47 დაღუპული და 150 დასახიჩრებული ადამიანი.

1971 წელი, 2 იანვარი. გლაზგო, „აიბროქს პარკი“. „სელტიკი“ — „რეინჯერსი“.

ბოლო წუთზე „რეინჯერსმა“ გაათანაბრა ანგარიში. გულშემატკივართა შორის ატყდა ჩხუბი, რის შედეგადაც დაიღუპა 66 კაცი და დაშავდა 140.

1972 წელი, 15 თებერვალი.

არგენტინის ქალაქ კორდობაში ნაკლებად ცნობილი კლუბის „სპორტივი რურალესის“ მოთამაშეებმა მოკლეს მსაჯი ალფრედო ბასა.

1976 წელი, 31 ოქტომბერი.

იაუნდეში 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში კამერუნისა და კონგოს გუნდებს შორის, როცა გამბიელმა მსაჯმა სახიფათო ჯარიმა დანიშნა მასპინძელთა კარში, მეკარე მივარდა მას და ჩხუბი აუტეხა. ამის შემდეგ ორივე გუნდის მოთამაშეები დაერივნენ ერთმანეთს. კამერუნელებს გულშემატკივრები შეუერთდნენ. ქვეყნის პრეზიდენტმა, რომელიც ტელევიზორით აღევნებდა თვალს ამ მატჩის მსვლელობას, გასცა ბრძანება პარაშუტისტები გადაესხათ სტადიონზე წესრიგის დასამყარებლად. ამ დღეს უამრავი ხალხი დაშავდა და ორი კაცი დაიღუპა.

1976 წელი, 6 დეკემბერი.

1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ჰაიტის დედაქალაქ პორტპრენსში კუბელებთან მატჩის დროს, მასპინძელთა კარში გოლის გატანის შემდეგ, ველაცამ პროტესტის ნიშნად მაშხალა ისროლა. ატყდა პანიკა. 6 კაცი დაიღუპა.

1977 წელი, 8 მარტი.

კოლუმბიის მეორე ლიგის გუნდების ერთ-ერთ მატჩში „სანტაროზა დე კაბრალის“ მეკარე დაშავდა. მისი ადგილი დაიკავა მარცხენა გარემარბმა ლიბარდო ზუნიგამ, რომელიც შესანიშნავად ჩატარა ეს მატჩი და ისე გააწბილა მოწინააღმდეგე ფეხბურთელები, რომ მატჩის მიწურულს, როცა ზუნიგა ბრწყინვალე ნახტომით ბურთს დაეუფლა, თავდამსხმელი მივარდა მას და წიხლი ჩასცხო თავში. ზუნიგა ადგილზევე გარდაიცვალა.

ალექსანდრე ჯიბლაძე,
ბიძინა ბარათაშვილი.

დელიბაშიჩი ახალ ამპლუაში

იუგოსლავიის ერთ-ერთი პოპულარული კლუბი სარაევოს „ბოსნა“ ბოლო წლებში წარუმატებლად გამოდის. ამის გამო როგორც იუგოსლავიის პრესა იუწყება, გუნდის უფროს მწვრთნელად დაინიშნა წარსულში ცნობილი კალათბურთელი ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მირზა დელიბაშიჩი, რომელიც წლების განმავლობაში სწორედ სარაევოს „ბოსნას“ ღირსებას იცავდა.

„ბოსნას“ ყველაზე დიდ წარმატებებში მირზა დელიბაშიჩს უდიდესი წვლილი მიუძღვის. გუნდი გახდა იუგოსლავიის ჩემპიონი და თასის მფლობელი. 1978 წელს ითამაშა რ. კორაჩის თასის ფინალში და დამარცხდა თავის თანამემამულეებთან ბელგრადის „პარტიზანთან“ შეხვედრაში — 110:117, ხოლო მომდევნო 1979 წელს „ბოსნამ“ იუგოსლავიის კალათბურთის ისტორიაში პირველად მოიგო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. მან გრენობლში გამართულ ფინალურ მატჩში დაამარცხა ვარესეს გამოცდილი კლუბი „ემერსონი“ — 96:93. ამ მატჩის ერთ-ერთი გმირი იყო დელიბაშიჩი, რომელმაც 30 ქულა შესძინა გუნდს. ის წლები „ბოსნას“ ისტორიაში ოქროს ასოებით შევიდა, შემდეგ დაიწყო თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი. გუნდმა შესამჩნევად უკლო თამაშს. სატურნირო მაჩვენებლებიც მკვეთრად გაუარესდა. ამ მდგომარეობის გამოსწორება ევალება სწორედ მირზა დელიბაშიჩს, რომელიც 1983 წლიდან კლუბის გენერალური დირექტორი იყო. ვნახოთ, როგორ გაართმევს იგი თავს ახალ ამპლუას.

მერაბ კალანდაძე.

75-ე „ტურ დე ფრანსი“

პარიზი. დაიწყო პროფესიონალ ველოსიპედისტთა ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრება — „ტურ დე ფრანსი“, რომელიც წლეულს სამოცდამეთხუთმეტედ ტარდება. ველორბოლაში, რომლის ტრასა 3231 კილომეტრზეა გაჭიმული (22 ეტაპი), მონაწილეობს ოცზე მეტი გუნდის 200-მდე წარმომადგენელი.

რბოლა დაიწყო პრელუდიით, რომელიც იტალიელმა გვიდო ბონტემპიმ მოიგო. პირველ ეტაპზე კი (91 კმ) უძლიერესი კანადელი სტივ ბაუერი იყო — 2:16.34.

„სპორტპროგნოზი“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეჯამა როსტოვის „როსტსელმაშის“ თამაშებზე შედგენილი ლატარია „სპორტპროგნოზის“ სპეციალური ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 136.510 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (15) — მოგებამ შეადგინა 136 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (167) — 24 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (1.426) — 10 მანეთი.

სპეციტირაჟის მოგებები გაიცემა 1988 წლის 18 ივლისიდან 18 აგვისტოს ჩათვლით.

27-ე ტირაჟის შედეგები (4 ივლისი)

1—2, 2—X, 3—X, 4—1, 5—1, 6—1, 7—1, 8—2, 9—1, 10—1, 11—X, 12—1, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეცნობეთ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 6 ივლისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი მძლეოსნობაში (გადაცემა ტალინიდან) — 20.00 (2); ევროპის ჩემპიონატი ავტოსპორტში (გადაცემა უნგრეთიდან) — 21.15 (2); ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი კალათბურთში ვაჟთა შორის (გადაცემა ჰოლანდიიდან)— 24.00 (1).

საქართველოს ტელევიზია. 6 ივლისი. ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი კალათბურთში ვაჟთა შორის — 24.00.

კალეიდოსკოპი

40 წელი მეკარედ

ქალაქ ჰამბურგში არსებობს ბალახის ჰოკეის ქალთა კლუბი „ან დერ ალსტერი“, რომლის კარს იცავს 56 წლის ელიზაბეტ მაიერ-ბორზკენი. 40 წელია ეს მანდილოსანი ბალახის ჰოკეის თამაშობს, პროფესიით მედდაა და მრავალშვილიანი ოჯახი ჰყავს. ელიზაბეტ მაიერ-ბორზკენი აცხადებს, რომ ბალახის ჰოკეი მას სიმხნევეს უნარჩუნებს, ექიმებმა კი დაადასტურეს, რომ 60 წელს მიტანებული ქალი ჩინებული ჯანმრთელობით გამოირჩევა.

გალისი ნგა-ს და საბერძნეთის შორის

ზუსტად ასეთი სათაურით არის დასტამბული ზაგრების „სპორტსკოე ნოვოსტში“ ნ. ბერტიჩევიჩის სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ ევროპის 1987 წლის საუკეთესო კალათბურთელი ნიკოს გალისი კვლავ აპირებს სცადოს ძალა პროფესიულ კალათბურთში, კერძოდ „ნიუ-იორკ ნიქსში“. 1979 წელს გალისმა პირველად ითამაშა „ბოსტონ სელტიქსში“. იგი ახალწვეულთა შორის ლარი ბიორდთან ერთად საუკეთესო იყო, მაგრამ უკანასკნელ მომენტში გუნდის ხელმძღვანელობამ უპირატესობა ლარი ბიორდს მიანიჭა. განაწყენებულმა გალისმა კი სამშობლოს მიაშურა...

თუ კანდიდატურა დამტკიცდა

ესპანეთმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა ევროპის 1992 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე. თუ ეს კანდიდატურა დამტკიცდა, ეს წელი ღირსშესანიშნავი იქნება ესპანეთში: ბარსელონა უმასპინძლებს ოლიმპიურ თამაშებს, სევილია კი გრანდიოზულ საერთაშორისო გამოფენას აწყობს კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენიდან 500 წლის აღსანიშნავად.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვა“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდავს ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ჰოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10796

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.